დანართი

N	**რეკომენდაცია**	**რეაგირება**
1	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და დააწესოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხარვეზების გარეშე მიწოდებას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა შენიშვნები, ხდება ინსპექტირების ჯგუფის გადახალისება . მომზადდა მერის ბრძანება, რომელიც აწესრიგებს ინფრასტრუქტურის სამსახურში პროექტების მიხედვით ზედამხედველობის გრაფიკს.
2	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული ღონისძიებები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული სამუშაოს დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე, განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. მუნიციპალიტეტმა აღწეროს დაუსრულებელი ან/და უფუნქციო შენობები, შეისწავლოს მათი შემდგომი ექსპლუატაციის საკითხი და საჭიროების მიხედვით განსაზღვროს შენობა-ნაგებობების გამოყენების მიმართულებები.	ყველა ობიექტი, რომელიც შემოწმების პერიოდისათვის არ ფუნქციონირებდა უკვე ფუნქციონირებს. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა შენიშვნები. მუნიციპალიტეტში დაიწყო პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა (აღნიშნული ითვალისწინებს შედეგზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებას) გამოცემულია მერის(N320 01.03.2019წ.) ბრძანება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე მიმდინარე წელს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

3	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს სტრატეგია და პროცესი წარმართოს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს სტიქიის შედეგების ოპერატიული აღმოფხვრა. აგრეთვე შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს დროულად გამოასწოროს სტიქიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები და უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. გაატაროს ღონისძიებები მოსახლეობაში დასაწყობებული სამშენებლო მასალების დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს ისეთი პროგრამის შემუშავებაზე, რომ სტიქიური მოვლენების აღმოფხვრა შეძლოს ეფექტურად და არ მოხდეს მოსახლეობისთვის გადაცემული მასალების არადანიშნულებისამებრ გამოყენება.
4	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შესასყიდი სამუშაოების მოწოდებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის, მიმწოდებელზე სრულად გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები და უზრუნველყოს მისაღები საჯარიმო სანქციების სრულად მობილიზება ადგილობრივ ბიუჯეტში.	აუდიტის ჯგუფის მიერ აღნიშნული კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა მითითება, კანონმდებლობის მოთხოვნა დაცული იქნას და შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე არ ანაზღაურდეს ხარჯი გამარტივებული წესით შესყიდვისას.
5	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა აღნიშნული შენიშვნა და მერის ბრძანებით (ან საოქმო დავალებით) დაევალა ინფრასტრუქტურის და იურიდიულ სამსახურს შეიმუშავოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი.

	მოქმედ კანონმდებლობასთან. გასული პერიოდის ხელშეკრულებებისათვის საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამობების არსებობის ან დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.	მით უფრო , რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მთავრობის წინაშე დგას წინადადებები წესის შეცვლის თაობაზე.
6	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შესყიდვის პროცესი წარმართოს შეუფერხებლად და კანონმდებლობის შესაბამისად. მუნიციპალიტეტმა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კანონმდებლობით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში ფინანსური რესურსი მიმართოს მოხელეთა გადამზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდვის პროცესის გამართვას და შესყიდვით მისაღები სარგებელის ადგილობრივ მოსახლეობისთვის დროულად მიწოდებას.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა აღნიშნული შენიშვნები და 2019 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინა სახსრები კადრების გადასამზადებლად.
7	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყოს დასუფთავების გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის გაანგარიშება.ასევე დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების მობილიზებას.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას , მიეცა მითითება და დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად კი განხორციელდება წლის განმავლობაში მოსაკრებლის გადაანგარიშება.

8	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ არ მოახდინოს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.	„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 41 - ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად „მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით“. ანუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქვს უფლება განსაზღვროს წესი, მათ შორის ისეთიც, რომელიც არ საჭიროებს პირველადი დოკუმენტის წარმოდგენას. ანუ ასეთ წესის დადგენა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. აქ შესაძლებელი იყო მხოლოდ მოდავება საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებით, კერძოდ უნდა დაბეგრილიყო თუ არა ეს გაცემული თანხები საშემოსავლო გადასახადით. ამ კუთხითაც 2015 წლის 22 ივლისს #4088 -რს, საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და კოდექსის მე-100 ე მუხლის მე 4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი განიმარტა შემდეგნაირად: „ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარება მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრისათვის, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, საქართველოს

		ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე გადახდილი ხარჯების ანაზღაურება, გარდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისათვის გადახდილი ხარჯების ანაზღაურებისა.“ აღნიშნულიდან გამომდინარე საკრებულოს წევრებზე რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები ხარჯების ანაზღაურება განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვით.
9	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ არ დაუშვას შრომითი ხელშეკრულებით თანამშრომელთა დაქირავება კანონმდებლობით დადგენილი ზღვრის დარღვევით. მუნიციპალიტეტმა შრომითი ხელშეკრულებები გააფორმოს საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად მხოლოდ დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად.აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციას და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა აღნიშნული შენიშვნები და 2019 წლისთვის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმას. 2019 წლის ბიუჯეტით 2,2 %-ს შეადგენს.
10	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, საწვავის ხარჯვის, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო	მუნიციპალიტეტში მერის და საკრებულოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანებებით რეგულირდება სამსახურებრივი ავტომანქანების რაოდენობა და საწვავის ლიმიტები. აღნიშნულიდან გამომდინარე ეს

	პრაქტიკაზე, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციას და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. ამასთანავე, შემუშავებული წესი მიზანშეწონილია თავსებადი იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან.	ნორმა შეიძლება განხილული იქნეს როგორც შიდა წესი.
11	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ არ განახორციელოს ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა. საკადრო პოლიტიკა დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ დასაქმებულმა საჯარო მოხელეებმა სრულად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. მუნიციპალიტეტმა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. კანონმდებლობით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში ფინანსური რესურსი მიმართოს მოხელეთა გადამზადებასა და პროფესიულ განვითარებაზე.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა მითითება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მიცემული რეკომენდაციის მიხედვით, კერძოდ ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებაზე არ განახორციელოს ხარჯის გაწევა.
12	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ სუბსიდიური დაფინანსებისას, გაითვალისწინოს მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოები და კონკრეტული ღონისძიებები. მოახდინოს ა(ა)იპ-ების მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასება და სუბსიდიის ხარჯვის შესრულების კონტროლი. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა შენიშვნები. მუნიციპალიტეტში დაიწყო პროგრამული ბიუჯეტის დანერგვა (აღნიშნული ითვალისწინებს შედეგზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებას) გამოცემულის მერის ბრძანება(N320 01.03.2019წ.) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე მიმდინარე წელს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

13	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. გააძლიეროს მონიტორინგი მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობაზე, აგრეთვე მათზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა მითითება შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაძლიერდეს მონიტორინგი მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობაზე, განსაკუთრებით მათზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე.შიდა აუდიტის სამსახურს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაავალა 2019 -2020 წწ. გეგმა-გრაფიკი ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ.
14	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის წინა აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით – გადამოწმდეს წინა წლების ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები, რომლებიც გავლენას ახდენს მიმდინარე ნაშთებზე. ასევე ჩაატაროს სრულყოფილი ინვენტარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის ზუსტი და სრული ინფორმაციის წარდგენას.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა გაითვალისწინოს წინა წლების აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებები და უახლოეს მომავალში საკრებულოს წარუდგინოს გამოსწორების შესაძლებობები და გზები.